# საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის პირველი წლის მუშაობის შეფასება

2012 წლის 21 ოქტომბერი - 2013 წლის 21 ოქტომბერი

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო
თბილისი, 2014

კვლევის ხელმძღვანელი: ლევან ნატროშვილი
კვლევის ავტორები: კახა ურიადმყოფელი, გიორგი ჭანტურია, ეკა როსტომაშვილი და გიგი ჩიხლაძე
კვლევაზე მუშაობდნენ: ანა პაპუაშვილი და მერი ჩაჩავა

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო
მისამართი: რუსთაველის გამზირი 26, თბილისი 0108
ტელეფონი: (+995 32) 292 14 03
ელფოსტა: info@transparency.ge, parliament@transparency.ge
ვებგვერდი: http://transparency.ge, http://ChemiParlamenti.ge

SWEDEN

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ საპარლამენტო მონიტორინგის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მომზადდა წინამდებარე ანგარიში, ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით.

# სარჩევი

შესავალი 4

თავი I. ზოგადი სტატისტიკა 5

თავი II. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები და აქტივობები 6

თავი III. გახმაურებული შემთხვევები 9

თავი IV. პარლამენტის წევრთა აქტივობა 11

თავი V. საზოგადოებრივი აზრი პარლამენტისა და ცალკეული პარლამენტის წევრების შესახებ 14

თავი VI. ქალები პარლამენტში 22

თავი VII. პარლამენტის კომიტეტების მუშაობა 24

თავი VIII. მაჟორიტარი პარლამენტის წევრების საქმიანობა 26

თავი IX. პარლამენტის წევრთა კავშირები ბიზნესთან 28

თავი X. პარლამენტის წევრთა არადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობა 37

თავი XI. პრობლემები პარლამენტის მუშაობაში და მათი გადაჭრისკენ მიმართული რეკომენდაციები 41

# შესავალი

2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგად საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტმა დაიწყო მუშაობა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ პარლამენტის პირველი წლის მუშაობის შეფასებას წარმოგიდგენთ. საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2012 წლის 21 ოქტომბრიდან (ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრების დღე) 2013 წლის 21 ოქტომბრამდე პერიოდს.

შეფასებები დაფუძნებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ მოკვლეულ ინფორმაციაზე, მისი საპარლამენტო ოფისის დაკვირვებებზე და პარლამენტიდან გამოთხოვილ სტატისტიკურ მონაცემებზე. ანგარიშის **I თავი** კვლევის ზოგად სტატისტიკას ასახავს, დანარჩენი თავები კი სხვადასხვა საკითხს მოიცავს, კერძოდ: **თავი II** – მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები და აქტივობები; **თავი III** – გახმაურებული შემთხვევები; **თავი IV –** პარლამენტის წევრთა აქტივობა; **თავი V –** საზოგადოებრივი აზრი პარლამენტისა და ცალკეული პარლამენტის წევრების შესახებ; **თავი VI –** ქალები პარლამენტში; **თავი VII –** პარლამენტის კომიტეტების მუშაობა; **თავი VIII –** მაჟორიტარი პარლამენტის წევრების საქმიანობა; **თავი IX –** პარლამენტის წევრთა კავშირები ბიზნესთან; **თავი X –** პარლამენტის წევრთა არადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობა; **თავი XI –** პრობლემები პარლამენტის მუშაობაში და მათი გადაჭრისკენ მიმართული რეკომენდაციები.

# თავი I. ზოგადი სტატისტიკა

საქართველოს პარლამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში პარლამენტში 65 პლენარული, 661 კომიტეტის და 109 ბიუროს სხდომა გაიმართა.

პარლამენტმა 620 კანონპროექტზე იმსჯელა; მიღებულ იქნა 375 კანონი, მათ შორის, 2 კონსტიტუციური კანონი, 36 ორგანული კანონი, 325 კანონი და 12 პარლამენტის რეგლამენტი; ინიციატორებმა გაიწვიეს 30 საკანონმდებლო ინიციატივა (ჯამში 80 კანონპროექტი). 54 საკანონმდებლო ინიციატივა (ჯამში 165 კანონპროექტი) შეჩერდა ან კვლავ განიხილებოდა.

საანგარიშო პერიოდში პრეზიდენტმა 20-ჯერ გამოიყენა ვეტოს უფლება და პარლამენტს შენიშვნებით დაუბრუნა კანონპროექტები. პარლამენტმა პრეზიდენტის შენიშვნები არც ერთხელ არ გაითვალისწინა.

საპარლამენტო უმცირესობამ პარლამენტის მუშაობას ბოიკოტი სამჯერ გამოუცხადა. პირველი პროტესტი 2012 წლის ნოემბერში პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი ლევან ბეჟაშვილის კანდიდატურის ჩაგდებით, ბაჩანა ახალაიასა და სამხედრო მაღალჩინოსნების დაკავებით და საზოგადოებრივ მაუწყებელში ფინანსური შემოწმების დაწყებით იყო განპირობებული. მეორედ ბოიკოტი 2013 წლის მაისში გამოცხადდა და ივანე მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკავებას უკავშირდებოდა. მესამე პროტესტი 2013 წლის ივნისში თბილისის მერიის თანამშრომლების დაკავებამ განაპირობა.

საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ისეთმა კანონპროექტებმა, როგორებიც იყო საქართველოს კანონების პროექტები „ამნისტიის შესახებ“, „პოლიციის შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, აგრეთვე იპოთეკარების პრობლემებთან დაკავშირებულმა საკითხებმა და სხვა.

ერთი წლის განმავლობაში პარლამენტში შესული 620 კანონპროექტიდან ყველაზე მეტი პარლამენტის წევრთა მიერ იქნა ინიცირებული, ხოლო მთავრობა ამ მხრივ მეორე ადგილზეა (დიაგრამა 1).



# თავი II. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები და აქტივობები

მერვე მოწვევის პარლამენტმა თავისი საქმიანობის პირველ წელს არაერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება განიხილა და მიიღო. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აქტიურად იყო ჩართული საკანონმდებლო პროცესში და პარლამენტს მუდმივად სთავაზობდა საკუთარ მოსაზრებებსა და შენიშვნებს. აღსანიშნავია, რომ იმ კანონპროექტების განხილვას, რომლებზედაც აზრთა სხვადასხვაობა იყო, როგორც წესი, დიდი დრო ეთმობოდა.

ქვემოთ მიმოვიხილავთ 2012 წლის 21 ოქტომბრიდან 2013 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით მიღებულ კანონებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, ამ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო; აგრეთვე შევეხებით ინტერფრაქციულ ჯგუფსა და დროებით საგამოძიებო კომისიებთან დაკავშირებულ საკითხებს.

### *საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ*

2013 წლის 12 ივნისს, თითქმის ცხრათვიანი განხილვის შემდეგ პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“. ეს ყველაზე მასშტაბური ცვლილებები იყო, რომლებიც საქართველოს შრომის კოდექსში მისი მიღების დღიდან შესულა. ამ კანონის შედეგად კარდინალურად შეიცვალა შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი გარემო – იგი უფრო დაბალანსებული გახდა და დამსაქმებელს თავისი შრომითი უფლებების დასაცავად მეტი სამართლებრივი ბერკეტი გაუჩნდა.

### *საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე*

2013 წლის 31 მაისს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონის პროექტი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლითაც შეიცვალა მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირებისა და პასუხისმგებლობის წესები; შეიქმნა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია; განისაზღვრა მაუწყებლის სავალდებულო ტრანზიტი და მაუწყებლობის ფინანსური გამჭვირვალობა. საქართველოს პრეზიდენტის ვეტოს მიუხედავად, პარლამენტმა 94 ხმით 2013 წლის 12 ივლისს საბოლოოდ მოახერხა აღნიშნული ცვლილებების მიღება.

### *საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე*

2013 წლის 1 მაისს, პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის შედეგად პარლამენტმა საბოლოოდ მიიღო საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. ეს საკანონმდებლო ინიციატივა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირებას ეხებოდა. 2-მა მოქმედმა წევრმა, მათ შორის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილმა, შეინარჩუნა ადგილი 15-წევრიან საბჭოში – ორგანოში, რომელიც სასამართლო სისტემას კურირებს და რომელსაც მოსამართლეების დანიშვნისა და გათავისუფლების, აგრეთვე მათი დისციპლინური დევნის უფლებამოსილება აქვს. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, პრეზიდენტის მიერ დანიშნული პირები და პარლამენტის წევრები საბჭოში აღარ იქნებიან წარმოდგენილი.

***საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“***

2013 წლის 25 მარტს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც პრეზიდენტს ართმევს უფლებას, პარლამენტის თანხმობის გარეშე შეცვალოს მთავრობა.

შემოთავაზებული ცვლილებები თითქმის სამ თვეზე მეტ ხანს „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციებს შორის პოლიტიკური დაპირისპირების მთავარი საგანი იყო. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი პარლამენტის წევრები მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდნენ, მხარი დაეჭირათ ცვლილებებისთვის, რაც „ქართული ოცნება“ სარეიტინგო კენჭისყრის გამართვას დაეთანხმა. საბოლოოდ საკონსტიტუციო ცვლილებები ერთხმად იქნა მიღებული, რაც ამ მოწვევის პარლამენტში პირველი შემთხვევა იყო.

საკონსტიტუციო ცვლილებების ერთხმად მიღების პრეცედენტი პარლამენტმა 2013 წლის 4 ოქტომბერს გაიმეორა, როდესაც სამი მოსმენით მიიღო მორიგი კონსტიტუციური კანონის პროექტი. ყველაზე მთავარი ცვლილების თანახმად, პარლამენტს დარჩება ბერკეტი, რომ მთავრობის შემადგენლობის 1/3-ით განახლების შემთხვევაში ხელახლა გამოუცხადოს მას ნდობა. ამასთანავე, გაუქმდა კონსტიტუციის დებულება, რომელიც პრემიერ-მინისტრს ანიჭებდა უფლებამოსილებას, ნებისმიერ კანონპროექტთან დაკავშირებით პარლამენტის წინაშე მთავრობის ნდობის საკითხი დაესვა.

***საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (უცხოელებისთვის მიწის რეგისტრაციის აკრძალვა)***

2013 წლის 28 ივნისს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონის პროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას ვერ შეიძენენ და ვერც მემკვიდრეობით მიიღებენ უცხოელი, საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი და უცხოელის მიერ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი. ეს უფლება ამ პირებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე ჩამოერთვათ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აღიარებს მიწის რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების აუცილებლობას, თუმცა მიაჩნია, რომ ახალშემოღებული შეზღუდვები არღვევს საკუთრების კონსტიტუციურ უფლებებს და მათ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სერიოზულად შეფერხებაც შეუძლიათ. 2013 წლის 17 სექტემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო ჩვენი ორგანიზაციის სარჩელი, რომლითაც იგი აღნიშნული ცვლილებების გაუქმებას ითხოვს.

***საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (მოწმეთა დაკითხვის წესის ამოქმედების გადავადება)***

2013 წლის 24 ივლისს პარლამენტმა მხარი დაუჭირა მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივას და 2014 წლის 1 დეკემბრამდე გადაავადა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვის ახალი წესის ამოქმედება.

ამ წესის მიზანი იყო პროცესის მხარეებს შორის მეტი თანასწორობის უზრუნველყოფა. კერძოდ, გამოძიების ეტაპზე მხოლოდ ბრალდების მხარეს აღარ ექნებოდა სავალდებულო წესით მოწმისაგან ჩვენების მიღების საშუალება. აღნიშნული წესის მიხედვით, მოწმეს ბრალდებისა და დაცვის მხარეები თანაბარ პირობებში, სავალდებულო წესით მხოლოდ სასამართლო პროცესზე დაკითხავდნენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც მართლმსაჯულების რეფორმაზე მუშაობენ, პარლამენტის მიერ მოწმის დაკითხვის ახალი წესის ამოქმედების გადავადებას უარყოფითად აფასებენ.

### *ინტერფრაქციული ჯგუფი*

2013 წლის მარტში პარლამენტში შეიქმნა ინტერფრაქციული ჯგუფი, რომლის ძირითადი ამოცანა საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმირება იყო. ჯგუფის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის თითო წარმომადგენელს შეეძლო. ჯგუფის საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართული სადამკვირვებლო მისიებიც.

გეგმის მიხედვით, 2013 წლის 31 მაისამდე უნდა დასრულებულიყო 6 საკითხზე პოზიციების შეჯერება და მათი პარლამენტში ინიცირება, თუმცა სამუშაო პროცესი იმდენად გაიწელა, რომ ჯგუფმა სექტემბრამდე მხოლოდ 2-3 საკითხის დამუშავება და პარლამენტში ინიცირება შეძლო, რაც სერიოზულ ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ინტერფრაქციული ჯგუფი „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ბევრი რეკომენდაციის გაზიარებას აპირებდა, ბოლოს მან ზოგიერთი მნიშვნელოვანი ცვლილების მიღებაზე უარი თქვა. საბოლოო ჯამში, მხოლოდ პარტიების დაფინანსების საკითხი იქნა შესაბამისად რეფორმირებული. საარჩევნო კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებები შევიდა ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენების შეზღუდვის კუთხით, თუმცა ეს ცვლილებები ძირითადად „კოსმეტიკური“ იყო და ამ საკითხის არსებითი რეფორმირება არ მომხდარა.

### *დროებითი საგამოძიებო კომისიები*

პარლამენტმა ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გამოიყენა პარლამენტის რეგლამენტით მინიჭებული უფლებამოსილება დროებით საგამოძიებო კომისიასთან დაკავშირებით. პარლამენტში შესული საჩივრების შედეგად, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია. ამ კომისიის გამოსაკვლევი საკითხი იყო კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრთა მიერ ჩადენილი შესაძლო დარღვევები, მათ შორის, თანამდებობის ბოროტად გამოყენების, დოკუმენტების გაყალბების, სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები.

# თავი III. გახმაურებული შემთხვევები

წინა წლებისგან განსხვავებით, როდესაც საკანონმდებლო ორგანოში იშვიათად იმართებოდა დებატები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, მერვე მოწვევის პარლამენტში მუდმივად მიმდინარეობს არსებითი დისკუსიები სხვადასხვა თემაზე. ამიტომ 2012 წლის არჩევნების შემდეგ პარლამენტისადმი ინტერესი უფრო დიდია. თავისი საქმიანობის პირველი წლის განმავლობაში მერვე მოწვევის პარლამენტი არაერთხელ მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

***ფართომასშტაბიანი ამნისტია***

ახალარჩეული პარლამენტის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ნაბიჯი იყო 2012 წლის 28 დეკემბერს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიღება, რომელიც თითქმის ორი თვის განმავლობაში იხილებოდა. განხილვის პროცესში პროექტი ბევრჯერ შეიცვალა და, საბოლოო ჯამში, 17 ათასამდე პატიმარს შეეხო – მათი ნაწილი სრულად გათავისუფლდა პასუხისმგებლობისგან, ზოგიერთს კი სასჯელი შეუმცირდა.

აღნიშნული კანონი 200-მდე პირის პოლიტპატიმრის სტატუსით სასჯელისგან გათავისუფლებას და 25 პირისათვის პოლიტიკური დევნილის სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებდა. ეს გარემოება გახდა კანონისთვის პრეზიდენტის მიერ ვეტოს დადების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. საბოლოოდ პარლამენტმა 91 ხმით 24-ის წინააღმდეგ მოახერხა ვეტოს დაძლევა.

***ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის რეაქცია 2013 წლის 17 მაისის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე და კამპანია „მე მოვაწერე ხელი პეტიციას“***

2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, თბილისის ცენტრში განვითარებულ მოვლენებზე რეაგირების მოთხოვნით 12 ათასმა მოქალაქემ პეტიციით მიმართა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს. კომიტეტმა 17 ივნისს გამართულ სხდომაზე განიხილა პეტიცია, რაზედაც თავად პეტიციის ავტორები, დამკვირვებელი ორგანიზაციები და დაზარალებული პირები არ იყვნენ ინფორმირებული. თუმცა სხდომას ესწრებოდნენ კონტრდემონსტრანტები, რომლებმაც განაცხადეს, რომ პეტიციის ხელმოწერები შესაძლოა გაყალბებული ყოფილიყო, რადგან იქ მათი სახელებიც ფიქსირდებოდა. ამის გამო კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ ხელმოწერების ნამდვილობაში ეჭვი შეიტანა და კომიტეტს მათი გადამოწმება სთხოვა. ეკა ბესელიას ეს დამოკიდებულება პეტიციის ხელმომწერებმა ფართომასშტაბიანი ონლაინკამპანიით „მე მოვაწერე ხელი პეტიციას“ გააპროტესტეს – ხელმომწერები სოციალურ ქსელში თავიანთ ფოტოებს პეტიციაში საკუთარი ნომრების მითითებით აქვეყნებდნენ. კომიტეტი რამდენიმე დღეში დათანხმდა კომიტეტის დასკვნის თავდაპირველ პროექტში ცვლილებების შეტანაზე და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან რამდენიმე ნაყოფიერი სამუშაო შეხვედრა გამართა.

***ჯარიმები სექსუალური ხასიათის პროდუქციის ბავშვებისთვის განკუთვნილ დაწესებულებებთან ახლოს გაყიდვაზე***

ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი და გახმაურებული კანონპროექტი, რომელიც მერვე მოწვევის პარლამენტმა განიხილა, სექსუალური ხასიათის პროდუქციის ბავშვებისთვის განკუთვნილ დაწესებულებებში ან მათ სიახლოვეს რეალიზაციის შეზღუდვას შეეხებოდა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2012 წლის ნოემბრის ბოლოს ინიცირებულმა ამ ცვლილებამ განსაკუთრებით სახალისო გახადა საკომიტეტო განხილვები. „ბუსუსიანი პრეზერვატივების ამკრძალავი“ კანონპროექტის სახელით ფართოდ ცნობილი ინიციატივა ეკუთვნოდა პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს, რომლის წარმომადგენელმაც

ჩვენთან საუბრისას განმარტა, რომ საქართველოს საერთაშორისო კანონმდებლობა ავალდებულებს „ბავშვების მავნე ზემოქმედებისგან დაცვას“[1], რაც სექსუალური დანიშნულების მქონე ნივთებისა და საშუალებების სკოლების სიახლოვეს გაყიდვის შეზღუდვასაც გულისხმობს.

ამ კანონპროექტის განხილვა და გაშუქება საკანონმდებლო ორგანოს ცუდი კომუნიკაციის მაგალითია.

### *იპოთეკის აღსრულება*

2013 წლის 11 ივლისს 49 პარლამენტის წევრმა წარმოადგინა საქართველოს კანონების პროექტები „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. კანონპროექტები კრედიტორების სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციაზე 2014 წლის 1 თებერვლამდე მორატორიუმის გამოცხადებას ითვალისწინებდა. პარლამენტმა პროექტების პირველი მოსმენით მიღება მოახერხა, თუმცა მთავრობამ და სამოქალაქო სექტორმა საკანონმდებლო ინიციატივის მიმართ მკვეთრად უარყოფითი პოზიციები გამოხატეს და, საბოლოო ჯამში, პარლამენტმა თავი შეიკავა მათი მიღებისგან. ეს იყო ერთ-ერთი პირველი პრეცედენტი, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობასა და მთავრობას სრულიად განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ იპოთეკარების თემა იყო პარლამენტის შენობასთან გამოხატული ყველაზე ხანგრძლივი პროტესტის საბაბი. იქ მოქალაქეები სისტემატურად იკრიბებოდნენ, შიმშილობდნენ და ხელისუფლებისგან მათი პრობლემის მოგვარებას მოითხოვდნენ.

### *პრეზიდენტის ვეტოები*

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საანგარიშო პერიოდში 20-ჯერ გამოიყენა ვეტოს უფლება და პარლამენტს შენიშვნებით დაუბრუნა კანონპროექტები. პარლამენტმა პრეზიდენტის შენიშვნები არცერთხელ არ გაითვალისწინა. პირველად პრეზიდენტმა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიმართ, რომელიც ფართომასშტაბიანი ამნისტიის გამოცხადებას ითვალისწინებდა. პარლამენტის მიერ ვეტოს დაძლევა საეჭვო იყო, რადგან „ქართული ოცნების“ წარმომადგენელ პარლამენტის წევრებს ხმათა საჭირო რაოდენობა არ ჰქონდათ. თუმცა ვეტოს დაძლევა ამ და სხვა შემთხვევებშიც იმ პარლამენტის წევრთა დახმარებით მოხერხდა, რომლებმაც არჩევნების შემდეგ დატოვეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციები.

კანონპროექტებზე ვეტოს დადებისას პრეზიდენტის პოზიცია ყოველთვის ემთხვეოდა საპარლამენტო უმცირესობისას. ზოგჯერ პრეზიდენტს ვეტოს უფლების გამოყენებისკენ საზოგადოების წარმომადგენლებიც მოუწოდებდნენ, მაგალითად, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტისა და ადვოკატთა უფლებებთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების შემთხვევებში. ამ უკანასკნელ კანონპროექტზე პრეზიდენტის მიერ შენიშვნების წარმოდგენისას ჩამოყალიბებული პოზიცია თავად საპარლამენტო უმრავლესობასაც არ ჰქონდა. პრეზიდენტმა ბოლო ვეტო დაადო საქართველოს ორგანული კანონის პროექტს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელშიც პრობლემური საკითხი მოსამართლეთა სამი წლით გამოსაცდელი ვადით დანიშვნა იყო.

---

[1] პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტის, თამთა ჭუმბურიძის, ინტერვიუ. 30 ნოემბერი, 2012. საპარლამენტო ამბების პოდკასტი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. http://transparency.ge/podcast/saparlamento-ambebis-podkasti-30-noemberi

# თავი IV. პარლამენტის წევრთა აქტივობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" პარლამენტის წევრთა აქტივობა ორი ძირითადი კრიტერიუმით შეაფასა:

- რა სიხშირით გამოდიოდნენ ისინი სიტყვით პლენარულ სხდომებზე – აკეთებდნენ განცხადებებს, სვამდნენ შეკითხვებს, გამოთქვამდნენ მოსაზრებებს კანონპროექტებთან თუ სხვა განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით;
- რამდენად იყენებდნენ პარლამენტის წევრები მათთვის მინიჭებულ საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის უფლებას.

**კვლევამ აჩვენა, რომ პარლამენტის მუშაობის ერთწლიან პერიოდში პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლის უფლება 121-მა პარლამენტის წევრმა გამოიყენა, საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის უფლება კი – მხოლოდ 54-მა[2].**

პლენარულ სხდომებზე სიტყვით გამოსვლების რაოდენობისა და ინიცირებული კანონპროექტების რაოდენობის მხრივ, პარლამენტის წევრთა რეიტინგი, შესაბამისად, დიაგრამა 2-სა და დიაგრამა 3-ზეა მოცემული.

იმ 51 პარლამენტის წევრს შორის, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში პლენარულ სხდომებზე 30-ზე მეტჯერ გამოვიდნენ სიტყვით, 28 საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელია, 21 – საპარლამენტო უმცირესობის, ხოლო 2 არცერთს არ ეკუთვნის.

რაც შეეხება საკანონმდებლო ინიციატივების წარდგენას, ამ კუთხით აშკარა უპირატესობა საპარლამენტო უმრავლესობას აქვს. კერძოდ, იმ 54 პარლამენტის წევრს შორის, რომლებსაც თუნდაც ერთი კანონპროექტი ჰქონდათ ინიცირებული, 46 საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელია, 6 – საპარლამენტო უმცირესობის, ხოლო 2 არცერთს არ ეკუთვნის.

გარდა ამისა, აღმოჩნდა 28 პარლამენტის წევრი, რომლებსაც ერთი წლის განმავლობაში არც საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის უფლებით და არც პლენარულ სხდომაზე რაიმე ფორმით სიტყვით გამოსვლის უფლებით არ უსარგებლიათ. მათგან 13 საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელია (ბერძენიშვილი ლევან, გელაშვილი ვალერი, დარზიევი მახირ, ენუქიძე გოჩა, ზვიადაური ზურაბ, მამედოვი ალი, ყაჭეიშვილი თამაზ, შავლოხაშვილი რევაზ, შიოშვილი თამაზ, ჩხაიძე თეიმურაზ, ხალვაში როსტომ, ხუბულური თენგიზ, ჯაფარიძე ვიქტორ), 8 – საპარლამენტო უმცირესობის (ახალაია როლანდ, კედელაშვილი ზაზა, ნაყოფია კობა, ნიკოლაიშვილი რამაზ, სულეიმანოვი აზერ, ქარდავა ლევან, ყიფშიძე ნიკოლოზ, ჯანაშია ნაული), ხოლო 7 არცერთს არ ეკუთვნის (ბოლქვაძე ანზორ, ვერულაშვილი მარიკა, ლიპარტელიანი გოგი, მკოიანი ენზელ, ფეიქრიშვილი გიორგი, ხაბულიანი სერგო, შერვაშიძე იაშა).

[2] პარლამენტის წევრთა მიერ ინიცირებული კანონპროექტების სტატისტიკაში გათვალისწინებული არ არის ის კანონპროექტები, რომელთა ინიციატორების რაოდენობა რამდენიმე ათეულია (მაგალითად, კონსტიტუციური კანონების პროექტები). მსგავს შემთხვევებში, როგორც წესი, პარლამენტის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის ჩართულობა ინიცირებულ კანონპროექტთან დაკავშირებით მხოლოდ მასზე ხელის მოწერით შემოიფარგლება.

## დიაგრამა 2. პარლამენტის წევრთა პლენარულ სესიაზე სიტყვით გამოსვლათა რაოდენობა
(30 და მეტი)



## დიაგრამა 3. პარლამენტის წევრთა მიერ ინიცირებული კანონპროექტების რაოდენობა



# თავი V. საზოგადოებრივი აზრი პარლამენტისა და ცალკეული პარლამენტის წევრების შესახებ

პარლამენტი საქართველოში ხელისუფლების ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლობითი ორგანოა. ამდენად, კიდევ უფრო საინტერესოა, რამდენად წარმოადგენს ეს ინსტიტუტი ხალხს, რომელმაც ის აირჩია, სწორედ ამომრჩევლების შეფასებით.

2013 წლის 3 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დაკვეთით, „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრებმა (CRRC)“ ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩაატარა. გამოკითხვა ასახავს საქართველოში მცხოვრები, ქართულ ენაზე მოსაუბრე მოქალაქეების დამოკიდებულებებს საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხთან, მათ შორის, პარლამენტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, მოსახლეობა მეტ-ნაკლებად არის დაინტერესებული საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობით: რესპონდენტთა ნახევარი ამბობს, რომ თვალს ადევნებს ინფორმაციას პარლამენტის მუშაობის შესახებ (დიაგრამა 4).




მიუხედავად ამისა, პარლამენტის წევრთა ზუსტი რაოდენობის დასახელება გამოკითხულთა მხოლოდ 28%-მა შეძლო (დიაგრამა 5). აღსანიშნავია, რომ მათი 46%-ის აზრით, 150 პარლამენტის წევრი საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის ზედმეტია, ხოლო 49%-ს მიაჩნია, რომ პარლამენტის წევრთა ეს რაოდენობა საკმარისია (დიაგრამა 6).







ცალკეულ პარლამენტის წევრთაგან მაღალია პარლამენტის თავმჯდომარის ცნობადობა: დავით უსუფაშვილის დასახელება გამოკითხულთა 83%-მა შეძლო (დიაგრამა 7). მსგავსი პოპულარობით, სამწუხაროდ, ვერ სარგებლობენ მაჟორიტარი პარლამენტის წევრები: რესპონდენტთა მხოლოდ 41%-მა იცის, თუ ვინ წარმოადგენს მათ რაიონს/ოლქს საკანონმდებლო ორგანოში (დიაგრამა 8).

დიაგრამა 7. ვინ არის ამჟამად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე?




დიაგრამა 8. ვინ არის ამჟამად პარლამენტის მაჟორიტარი პარლამენტის წევრი თქვენი რაიონიდან/ოლქიდან სადაც ხმას აძლევთ?



**საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო**

გამოკითხვის მონაწილეებს ვთხოვეთ, ეთქვათ, თუ ვინ არის, მათი აზრით, ყველაზე აქტიური პარლამენტის წევრი. 14%-ს მიაჩნია, რომ არცერთი არ არის საკმარისად აქტიური, ხოლო 53%-მა არ ან ვერ დაასახელა ასეთი პარლამენტის წევრი. ის პარლამენტის წევრები, რომლებმაც ამ კუთხით რესპონდენტთა ხმების 1% ან მეტი მიიღეს, აღნიშნულია დიაგრამა 9-ზე.

დიაგრამა 9. თქვენი აზრით, ვინ არის ამჟამად საქართველოს პარლამენტის ყველაზე აქტიური წევრი?




ამ ჩამონათვალში 9 საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელია, ხოლო 2 – საპარლამენტო უმცირესობის. ყველაზე აქტიურ პარლამენტის წევრად გამოკითხულთა 1%-მა არასწორად დაასახელა იმ დროისათვის პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი.

შეკითხვაზე, თუ რომელ პარლამენტის წევრს ენდობიან ყველაზე მეტად, გამოკითხულთა 25%-მა განაცხადა, რომ არცერთს არ ენდობა, ხოლო 51%-მა არ ან ვერ დაასახელა ასეთი პარლამენტის წევრი. ის პარლამენტის წევრები, რომლებმაც ამ კუთხით რესპონდენტთა ხმების 1% ან მეტი მიიღეს, აღნიშნულია დიაგრამა 10-ზე.




საინტერესოა, რომ პირველ ორ ადგილზე ახლანდელი და ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარეები არიან, შესაბამისად, 6%-ითა და 4%-ით. ამასთანავე, დავით ბაქრაძე ერთადერთი პარლამენტის წევრია ყოფილი მმართველი გუნდიდან, რომელიც ამ რეიტინგში მოხვდა. გამოკითხულთა 1%-მა შეცდომით დაასახელა ბიძინა ივანიშვილი, მაშინდელი პრემიერმინისტრი, რომელიც პარლამენტის წევრი არასდროს ყოფილა.

რაც შეეხება პარლამენტს, როგორც ინსტიტუტს, ჩვენ მიერ გამოკითხულთა მხოლოდ ერთი მეოთხედი აცხადებს, რომ ენდობა პარლამენტს, რაც მცირედით აღემატება იმათ რაოდენობას, ვინც მას არ ენდობა (23%). გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი, 43%, კი ნაწილობრივ ენდობა და ნაწილობრივ არ ენდობა პარლამენტს (დიაგრამა 11).




ჩვენ დავინტერესდით, თუ რომელი პარლამენტის წევრი აყენებს რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს (დიაგრამა 12).



რეიტინგში ამჯერადაც მოხვდნენ ის საჯარო პირები, რომლებიც არ არიან მერვე მოწვევის პარლამენტის წევრები: გამოკითხულთა თითო პროცენტმა გიორგი თარგამაძე და ბიძინა ივანიშვილი დაასახელეს.

რესპონდენტთა 27%-ს მიაჩნია, რომ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს არავინ აყენებს, ხოლო 55%-მა არ ან ვერ დაასახელა ასეთი პარლამენტის წევრი.

გამოკითხულთა უმრავლესობის (55%) აზრით, პარლამენტის წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევა პოლიტიკური დაპირისპირებაა (დიაგრამა 13).




შეკითხვაზე, თუ სად უნდა მდებარეობდეს საქართველოს პარლამენტი, 66%-მა განაცხადა, რომ ის თბილისში უნდა იყოს, ხოლო 20% პარლამენტის ქუთაისში დარჩენის მომხრეა (დიაგრამა 14).




როგორც ჩვენმა კვლევამ უჩვენა, მოსახლეობა, პარლამენტის შესახებ ინფორმირებულობის თვალსაზრისით, თითქმის თანაბრად, ორად, იყოფა. მიუხედავად იმისა, რომ პირადად პარლამენტის თავმჯდომარის ცნობადობა მაღალია, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი არ იცნობს საკუთარ მაჟორიტარს, ვერ ასახელებს პარლამენტის წევრს, რომელსაც ენდობა ან რომელიც აქტიურად მიაჩნია.

# თავი VI. ქალები პარლამენტში

2013 წლის 21 ოქტომბრის მდგომარეობით, მერვე მოწვევის პარლამენტში 18 ქალი იყო (2013 წლის ნოემბრიდან ირინე იმერლიშვილი აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადავიდა და მას შემდეგ აღარ არის პარლამენტის წევრი). მათგან 12 საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელია, 5 – საპარლამენტო უმცირესობის, ხოლო 1 არცერთს არ ეკუთვნის. ეს რიცხვი (18) პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის (150) 12%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ერთპალატიან პარლამენტებში ქალთა წარმომადგენლობის მსოფლიო საშუალო მაჩვენებელი 21,8%-ია[3]. 12%-ით საქართველო მსოფლიოში საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობით 105-ე ადგილს სირიის არაბთა რესპუბლიკასთან ერთად იყოფს[4].

საინტერესოა, რომ 2013 წლის 29 ივლისს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით (საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე) გათვალისწინებული იყო დამატებითი დაფინანსების გამოყოფა იმ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის, რომლებიც პარტიული საარჩევნო სიის ყოველ ათეულში მინიმუმ ორ ქალს შეიყვანდნენ. ეს არასავალდებულო კრიტერიუმი დღეს პარლამენტში წარმოდგენილმა საარჩევნო სუბიექტებმა – „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრობა – მეტი სარგებელი ხალხს“ – ვერ დააკმაყოფილეს. საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ პარტიული სია[5] შედგებოდა 200 კანდიდატისგან, რომელთაგან ქალი მხოლოდ 34 (17%) იყო, ხოლო პარტიას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“ 155-კანდიდატიან სიაში[6] მხოლოდ 17 ქალი (11%) ჰყავდა შეყვანილი.

რაც შეეხება მაჟორიტარობის კანდიდატებს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 73 კანდიდატიდან ქალი მხოლოდ 3 (4%) იყო, ხოლო „ქართული ოცნების“ 73 კანდიდატიდან – 8 (11%).

პარლამენტში ამჟამად 7 მაჟორიტარი ქალია:

- ბესელია ეკა – ფოთი, „ქართული ოცნება“;
- ვერულაშვილი მარიკა – ყვარელი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (ფრაქცია „უპარტიო მაჟორიტარები“);
- კობახიძე მანანა – საჩხერე, „ქართული ოცნება“;
- კორძაია თამარ – ნაძალადევი, თბილისი, „ქართული ოცნება“;
- ჩაფიძე ელისო – ტყიბული, „ქართული ოცნება“;
- ხალვაში ფატი – ქობულეთი, „ქართული ოცნება“;
- ხიდაშელი თინათინ – საგარეჯო, „ქართული ოცნება“.

ქალ პარლამენტის წევრებს შორის მაღალი საპარლამენტო თანამდებობები უკავიათ ეკა ბესელიას (ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე), მანანა კობახიძეს (პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე) და თინათინ ხიდაშელს (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე).

---

[3] Women in National Parliaments. Inter-Parliamentary Union. http://www.ipu.org/wmn-e/world.htm
[4] Women in National Parliaments. Inter-Parliamentary Union. http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm
[5] „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“. საქართველოს პარლამენტის არჩევნები − 2012 წელი. პარტიული სია. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. http://cec.gov.ge/uploads/other/11/11134.pdf
[6] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“. საქართველოს პარლამენტის არჩევნები − 2012 წელი. პარტიული სია. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. http://cec.gov.ge/uploads/other/11/11116.pdf

51 პარლამენტის წევრს შორის, რომლებიც პლენარულ სხდომებზე ყველაზე ხშირად გამოდიოდნენ სიტყვით, ერთი მეხუთედი ქალია: 11 ქალი პარლამენტის წევრი საშუალოდ 59-ჯერ გამოვიდა სიტყვით, ხოლო 40 მამაკაცი პარლამენტის წევრი – საშუალოდ 71-ჯერ.

საანგარიშო პერიოდში საკანონმდებლო ინიციატივების წარდგენის მხრივ პარლამენტის წევრი ქალები, საშუალოდ, უფრო აქტიურები იყვნენ, ვიდრე მათი მამრობითი სქესის კოლეგები: ქალი პარლამენტის წევრების სახელზე 70 ინიციატივა (საშუალოდ 3,9 ინიციატივა ერთ პარლამენტის წევრზე) დარეგისტრირდა, მამაკაცებისაზე კი − 355 ინიციატივა (საშუალოდ 2,7 ინიციატივა ერთ პარლამენტის წევრზე).

მერვე მოწვევის პარლამენტს ჯერ არ უმუშავია ქალთა პრობლემების გადაწყვეტისკენ მიმართულ კანონპროექტებზე, თუ არ ჩავთვლით 2013 წლის 27 სექტემბერს „საქართველოს შრომის კოდექსში" მიღებულ ცვლილებებს, რომელიც დედებისთვის დეკრეტული შვებულების პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებდა და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსსა" და „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" კანონში შესულ ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც საბავშვო ბაღები უფასო გახდა.

პარლამენტში არსებობს გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც გენდერულ ჭრილში უნდა იხილავდეს კანონპროექტებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა − საქართველო" გეგმავს, აქტიურად ჩაერთოს გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობაში.

# თავი VII. პარლამენტის კომიტეტების მუშაობა

პარლამენტის კომიტეტების მუშაობა რამდენიმე კრიტერიუმით შეფასდა:

- გამართული სხდომების რაოდენობა;
- განხილული კანონპროექტების რაოდენობა;
- ინიცირებული კანონპროექტების რაოდენობა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" წერილობით მიმართა თითოეულ კომიტეტს ამ მონაცემების მისაღებად. მიღებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი – 89 – სხდომა იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ჩაატარა. შემდეგ მოდიან საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი. ერთი წლის განმავლობაში ყველაზე მეტი კანონპროექტი დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა განიხილა. ეს კომიტეტია ლიდერი საკანონმდებლო ინიციატივების წარდგენის კუთხითაც. დეტალური მონაცემები შეგიძლია იხილოთ დიაგრამა 15-ზე.

კომიტეტების საქმიანობა კანონპროექტების ინიცირებითა და განხილვებით არ შემოიფარგლება. სხვადასხვა კომიტეტი, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ბევრ სხვა მნიშვნელოვან საქმიანობასაც ახორციელებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის საქმიანობა, რომელმაც კვლევის პერიოდში მოქალაქეთა 10,000-ზე მეტი განცხადება მიიღო და 6,602-ზე მოახდინა რეაგირება. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა კი 38 საერთაშორისო ხელშეკრულება და 16 საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის კანდიდატურა განიხილა.

## დიაგრამა 15. საპარლამენტო კომიტეტების მუშაობა



# თავი VIII. მაჟორიტარი პარლამენტის წევრების საქმიანობა

ამომრჩევლებთან მუშაობის ორგანიზების, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოების საქმიანობაში და ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში პარლამენტის წევრის მონაწილეობის მიზნით, ადგილზე იქმნება მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრის ბიურო. ბიუროს საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება პარლამენტის ბიუჯეტიდან.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობით დაინტერესდა. პირველი პრობლემა, რომელსაც ჩვენი ორგანიზაცია შეეჯახა, ის იყო, რომ ბიუროების საკონტაქტო ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის. მაჟორიტარი პარლამენტის წევრების პერსონალურ ვებგვერდებზე (რომლებიც პარლამენტის ვებგვერდზეა მიბმული) მხოლოდ 24-ის ბიუროს მისამართია მოცემული (2013 ნოემბრის მონაცემებით). ამასთანავე, გიორგი გოზალიშვილის, გიორგი ღვინიაშვილისა და თინათინ ხიდაშელის საკონტაქტო ინფორმაცია არასწორია − სამივეს ბიუროს ერთი და იგივე მისამართი აქვს მითითებული: „ლეონიძის ქ. №2, თბილისი, 0105, საქართველო". აღსანიშნავია, რომ ფოსტამ დაგვიბრუნა როლანდ ახალაიას ბიუროსთვის გაგზავნილი წერილი იმ მიზეზით, რომ მისამართზე არავინ იმყოფებოდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" შეეცადა პარლამენტის აპარატში მოეძიებინა მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების მისამართების ერთიანი სია, მაგრამ არ აღმოჩნდა არცერთი სამსახური, რომელსაც ეს ინფორმაცია ექნებოდა. ამიტომ იმ ბიუროებისთვის განკუთვნილი წერილები, რომელთა საკონტაქტო ინფორმაციაც შესაბამის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი არ იყო, პარლამენტის აპარატის საქმისწარმოების დეპარტამენტს ჩაჰბარდა. იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი პარლამენტის წევრი არ იყენებს პარლამენტში მისთვის გამოყოფილ სამუშაო ოთახს და მუდმივად არ ჰყავს ადგილზე თანაშემწე, შესაძლოა წერილების უმეტესობამ ზოგიერთ მაჟორიტარამდე (შესაბამისად, მათ ბიუროებამდე) ვერც მიაღწია.

ორგანიზაცია თითქმის ორი თვის განმავლობაში ელოდა პასუხებს. საბოლოო ჯამში, ჩვენს წერილობით მოთხოვნას მხოლოდ 41 მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიურო გამოეხმაურა.

ბიუროებს შემდეგი შეკითხვებით მივმართეთ:

***როდის დაიწყო მუშაობა მაჟორიტარის ბიურომ?***

მაჟორიტარების ბიუროების გახსნა ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდანვე დაიწყო, თუმცა მათი უმეტესობა 2012 წლის ბოლოს ან 2013 წლის დასაწყისში გაიხსნა.

***2012 წლის 21 ოქტომბრიდან 2013 წლის 21 ოქტომბრამდე პერიოდში რამდენმა მოქალაქემ მიმართა ბიუროს (წერილობით, ზეპირად) და ძირითადად რა პრობლემებია გამოკვეთილი?***

მოქალაქეები მაჟორიტარებს და მათ ბიუროებს მიმართავენ როგორც წერილობით, ისე ზეპირად. თუმცა ზეპირი ფორმით მიმართვების რაოდენობა გაცილებით აღემატება წერილობითი განცხადებებისას.

სტატისტიკური მონაცემები საგრძნობლად განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორია მოსახლეობის რაოდენობა ამა თუ იმ მაჟორიტარულ ოლქში. მაგალითად, რუსთავის მაჟორიტარის ბიურომ 2,325 წერილობითი და 10,000-ზე მეტი ზეპირი განცხადება მიიღო, ჩოხატაურის მაჟორიტარის ბიუროს კი მხოლოდ 92 წერილობითი და 356 ზეპირი მიმართვა აქვს მიღებული.

სტატისტიკური მონაცემები მკვეთრად განსხვავდება იმის მიხედვითაც, თუ რომელი პოლიტიკური გუნდის წარმომადგენელია შესაბამისი მაჟორიტარი. მოქალაქეები აქტიურობით მხოლოდ იმ რაიონებში გამოირჩევიან, სადაც მაჟორიტარად უმრავლესობის წარმომადგენელია. მაგალითად, წყალტუბოს მაჟორიტარის (აკაკი ბობოხიძის) ბიურომ მხოლოდ 31 წერილობითი

მიმართვა მიიღო, იმერეთის სხვა რაიონების იმ მაჟორიტართა ბიუროებს კი, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენენ, გაცილებით მეტი განცხადება (საჩხერე – 342, ხარაგაული – 415, ქუთაისი – 946, ზესტაფონი – 1800) აქვთ მიღებული. ანალოგიური სურათია სხვა რეგიონებშიც.

მოქალაქეები მაჟორიტართა ბიუროებს უმეტესწილად სოციალური საკითხების მოგვარების, აგრეთვე სამედიცინო დახმარების გაწევის, დასაქმებისა და სამართლებრივი პრობლემების გადაჭრის თხოვნით მიმართავენ.

***2012 წლის 21 ოქტომბრიდან 2013 წლის 21 ოქტომბრამდე პერიოდში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ან/და მაჟორიტარი დეპუტატის მიერ რამდენი საჯარო შეხვედრა იქნა გამართული მოქალაქეებთან? სად და რა საკითხებზე?***

პარლამენტის წევრები საჯარო შეხვედრების ორგანიზებისთვის ძირითადად არასასესიო კვირას იყენებენ. ისინი ხვდებიან როგორც ცალკეული უბნისა თუ სოფლის მოსახლეობას, ისე სხვადასხვა თემატურ ჯგუფს.

***2012 წლის 21 ოქტომბრიდან 2013 წლის 21 ოქტომბრამდე პერიოდში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხომ არ ჩაუტარებია მოსახლეობის საჭიროებების გამოვლენისათვის რაიმე სახის მოკვლევა? რა პრობლემებია გამოვლენილი?***

მაჟორიტართა ბიუროების ნაწილი მოსახლეობის საჭიროებების გამოვლენისთვის სხვადასხვა სახის გამოკითხვებს ატარებს, ნაწილის ინფორმაციით კი, საჭიროებები მიღებული განცხადებებისა და მიმართვების ანალიზის საფუძველზე ვლინდება. ძირითად მოსაგვარებელ საკითხებად ყველა რაიონში იკვეთება უმუშევრობა, კომუნალური და ინფრასტრუქტურული პრობლემები (წყალი, გაზი, ელექტროენერგია, გზები), სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანი და ავარიული სახლები, საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემები (დაუკანონებელი უძრავი ქონება), სამედიცინო საჭიროებები, სტუდენტთა დაფინანსების არარსებობა, დევნილთა განსახლება, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლება და სხვ.

***2012 წლის 21 ოქტომბრიდან 2013 წლის 21 ოქტომბრამდე პერიოდში რა სახის ურთიერთობა ჰქონდა ბიუროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და როგორ ხორციელდებოდა მოსახლეობის პრობლემების წამოწევა ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე?***

თითქმის ყველა მაჟორიტარის ბიურო აცხადებს, რომ მათ მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან – როგორც გამგეობებთან, ისე საკრებულოებთან. ამ კუთხით ერთადერთი გამონაკლისია ახმეტა, რომლის მაჟორიტარის, ზურაბ ზვიადაურის, განცხადებით, გარკვეული მიზეზების გამო მისი ბიურო ვერ თანამშრომლობს ადგილობრივ საკრებულოსთან.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობას მეტწილად ის ფაქტორი განაპირობებს, რომ ბიუროში შესულ განცხადებებსა და მიმართვებში დასმული საკითხების უმეტესი ნაწილის მოგვარება სწორედ ამ ორგანოების კომპეტენციაა. ბიუროს წარმომადგენლები ხშირად ესწრებიან შესაბამის ორგანოებში გამართულ სხდომებსა თუ სამუშაო შეხვედრებს. თანამშრომლობით უკმაყოფილება იმ რაიონებში იკვეთება, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლები და მაჟორიტარი პარლამენტის წევრი სხვადასხვა პოლიტიკურ გუნდს ეკუთვნიან.

მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ დანართში.

# თავი IX. პარლამენტის წევრთა კავშირები ბიზნესთან

საქართველოს კანონმდებლობით პარლამენტის წევრს შეზღუდული აქვს სამეწარმეო საქმიანობა. კერძოდ, იგი ვალდებულია უფლებამოსილების განხორციელების დაწყების მომენტიდან შეწყვიტოს სტატუსის შეუსაბამო საქმიანობა (მათ შორის, სამეწარმეო) და ამის დამადასტურებელი ცნობა 7 დღის ვადაში წარუდგინოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის წევრს ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობა, მას უფლება აქვს, ჰქონდეს ბიზნესაქტივები, როგორებიცაა ბიზნესკომპანიის წილები და აქციები. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით, რომელიც ინფორმაციას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან იღებს, ის კომპანიები მოიძია, რომლებთანაც პარლამენტის წევრებს და მათი ოჯახის წევრებს 2012 წლის ოქტომბრიდან ამა თუ იმ ფორმით აქვთ ან ჰქონდათ კავშირი (იხილეთ ცხრილები ქვემოთ). უმეტესწილად ეს ბიზნესინტერესები პარლამენტის წევრებს თავიანთ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებში მითითებული აქვთ. თუმცა რამდენიმე პარლამენტის წევრს შესაბამისი ინფორმაცია დეკლარაციაში აღნიშნული არ ჰქონდა. ამის შესახებ უფრო დეტალურად X თავშია მოთხრობილი. ამ თავში კი წარმოდგენილია იმ ბიზნესკომპანიების სრული ჩამონათვალი, რომლებთანაც პარლამენტის წევრებს აქვთ ან ჰქონდათ რაიმე კავშირი.

მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 43 პარლამენტის წევრს (ან მისი ოჯახის წევრს) 2012 წლის ოქტომბრიდან ჰქონდა ან ისევ აქვს ბიზნესაქტივები. მათგან 28 (67%) საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელია, 9 – საპარლამენტო უმცირესობის, ხოლო 6 არცერთს არ ეკუთვნის.

გარდა ამისა, ამ პარლამენტარებიდან 3 აღმოჩნდა ისეთი, რომელთაც არამარტო წილები აქვთ/ჰქონდათ ბიზნესში, არამედ კომპანიის დირექტორებიც იყვნენ პარლამენტში საქმიანობის პარალელურად. საქართველოს კონსტიტუციითა და პარლამენტის რეგლამენტით პარლამენტის წევრს უფლება არ აქვს უშუალოდ განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ან საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილებანი.

ამ დეპუტატთაგან ერთ-ერთი **ზვიად კვაჭანტირაძეა**, რომელიც რეესტრის უკანასკნელი ჩანაწერით დღემდე სააქციო საზოგადოება *გოლდენ ფლის გრუფისა* და შპს *უნიონ კრედიტის* დირექტორია. კიდევ ერთი პარლამენტარი **გიორგი თოფაძე** 2013 წლის 18 ივნისამდე იყოს შპს *ყაზბეგი 2005*-ის, ხოლო 2013 წლის 19 ივნისამდე - შპს *ყაზბეგი-ნაყინის* დირექტორი. ამ პერიოდში თოფაძე უკვე იყო პარლამენტის წევრი. მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა **თამაზ ავდალიანის** ჩანაწერებშიც, რომელიც 2013 წლის 10 იანვრამდე შპს *ასკო ლტდ*-ის დირექტორი იყო, მაშინ როდესაც იგი პარლამენტის წევრი 2012 წლის 21 ოქტომბერს გახდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" განმარტავს, რომ ეს პირდაპირ არ წარმოადგენს დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველს. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ზემოხსენებული დეპუტატები მხოლოდ ფიქსირდებიან/ფიქსირდებოდნენ ამ კომპანიების დირექტორებად. შესაძლოა, ეს კომპანიები საერთოდ არ ახორციელებენ საქმიანობას ან დეპუტატების დირექტორობა მხოლოდ რეესტრში დაფიქსირებით შემოიფარგლება. კანონმდებლობით კი, დეპუტატს უფლებამოსილება შეიძლება შეუწყდეს მხოლოდ მაშინ, თუ ის ეწევა (ანუ რეალურად ახორციელებს) სამეწარმეო საქმიანობას.[7] ამისთვის, საჭიროა პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ ამ ფაქტების შესწავლა და ფაქტობრივი

[7] იხილეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", N1/2/378, 13 -07-2006.

გარემოებების დადგენის შემდგომ კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება. აქვე, მოვუწოდებთ კომიტეტს და დეპუტატებს, უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინონ ამ საკითხების მიმართ და ზედმიწევნით მისდიონ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რადგანაც თუნდაც ფორმალური მოთხოვნების დაუცველობამაც კი შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების ლეგიტიმური ეჭვი.

| პარლამენტის წევრი | კუთვნილება | ბიზნესკომპანია | ბიზნესკომპანიასთან კავშირი |
|---|---|---|---|
| აკაკი ბობოხიძე | უმცირესობა | შპს ***ორიონი*** | 50%-იანი წილი - დღემდე |
| ალექსანდრე თამაზაშვილი | უმრავლესობა | შპს ***სმართ ვეი*** | 20%-იანი წილი - გაასხვისა 2012 წლის 27 ივლისს |
| ანი მიროტაძე | უმრავლესობა | შპს *PR **ჯგუფი*** | 50%-იანი წილი - 2012 წლის 31 ოქტომბრიდან 26 დეკემბრამდე. კომპანია ამჟამად ლიკვიდირებულია. |
| გელა სამხარაული | უმრავლესობა | შპს ***დია ალავერდი*** | 100%-იანი წილი - დღემდე. დირექტორი - თანამდებობა დატოვა 2012 წლის 24 ოქტომბერს |
| | | შპს ***დუტა*** *& F* | 22%-იანი წილი - დღემდე |
| | | შპს ***ვერა****-2011* | 30%-იანი წილი - დღემდე |
| | | შპს ***დია გრუპ*** | 33,33%-იანი წილი - დღემდე |
| გიგლა აგულაშვილი | უმრავლესობა | შპს ***კონსალტინგ კვადრო გრუპი*** | 25%-იანი წილი - გაასხვისა 2012 წლის 24 დეკემბერს |
| | | შპს ***არს მაგნა*** | 25%-იანი წილი - გაასხვისა 2013 წლის 6 ივნისს |
| | | შპს ***პოლიტტექნოლოგიების ლაბორატორია*** | 100%-იანი წილი - დღემდე |
| | | შპს ***მწვანე კალათა*** | 31,5%-იანი წილი - დღემდე |
| გიორგი ბარამიძე | უმცირესობა | შპს ***პარაგი*** | 3%-იანი წილი - გაასხვისა 2013 წლის 3 სექტემბერს |
| გიორგი ვოლსკი | უმრავლესობა | შპს ***თემი-გრუპ*** | 1,2%-იანი წილი - გაასხვისა 2012 წლის 30 ოქტომბერს |
| გიორგი თოფაძე | უმრავლესობა | შპს ***ქართუ-უნივერსალი*** | 100%-იანი წილი - 2013 წლის 1 მაისიდან - დღემდე. 74,5%-იანი წილი - 2013 წლის 1 მაისამდე |
| | | შპს ***იორის ჭალები*** | 17%-იანი წილი - 2013 წლის 18 ივლისიდან დღემდე |
| | | შპს *CALWE* | 20%-იანი წილი - 2012 წლის 3 მაისიდან დღემდე. დირექტორი - 2012 წლის 24 აპრილიდან 3 აგვისტომდე |
| | | შპს ***ცხრაწყარო****-2007* | 30%-იანი წილი - 2012 წლის 13 დეკემბრიდან დღემდე |
| | | შპს ***საგზორი*** | 33,4%-იანი წილი - 2012 წლის 29 აგვისტოდან დღემდე |
| | | შპს ***კურორტი-ბაკურიანი*** | 45%-იანი წილი - 2012 წლის 23 იანვრიდან დღემდე |
| | | შპს ***ყაზბეგი-ფშაველი*** | 10%-იანი წილი - დღემდე |
| | | შპს ***წარაფი*** *- 98* | 13%-იანი წილი - დღემდე |

| პარლამენტის წევრი | კუთვნილება | ბიზნესკომპანია | ბიზნესკომპანიასთან კავშირი |
|---|---|---|---|
| | | შპს *თრუსო* | 21%-იანი წილი - დღემდე |
| | | შპს *თერჯოლა*-2007 | 34%-იანი წილი - დღემდე |
| | | შპს *ბარი ყაზბეგი-ლომთაგორა* | 38%-იანი წილი - დღემდე |
| | | შპს *ყაზბეგი* 2005 | 40%-იანი წილი - დღემდე.<br>დირექტორი - 2013 წლის 18 ივნისამდე |
| | | შპს *ვეტპრეპარატი* | 50%-იანი წილი - დღემდე |
| | | შპს *სამთო-სათხილამურო კლუბი ყაზბეგი* | 50%-იანი წილი - დღემდე |
| | | შპს *თრიალეთი* | 80%-იანი წილი - დღემდე |
| | | შპს *ყაზბეგი - ბაკურიანი* | 99%-იანი წილი - დღემდე |
| | | შპს *ყაზბეგი-ნაყინი* | 25%-იანი წილი - დღემდე.<br>დირექტორი - თანამდებობა დატოვა 2013 წლის 19 ივნისს |
| | | შპს *ყაზბეგი* 1881 | 24%-იანი წილი - დღემდე |
| გიორგი კახიანი | უმრავლესობა | შპს *გლობალ ბრენდს* | 25%-იანი წილი - 2012 წლის 26 ოქტომბრიდან დღემდე |
| | | შპს *ბელლი* | 33,34%-იანი წილი - დღემდე |
| გიორგი ჟვანია | უმრავლესობა | შპს *BOSSNER* | 100%-იანი წილი - დღემდე.<br>დირექტორი - თანამდებობა დატოვა 2012 წლის 31 ოქტომბერს |
| | | შპს *ბი-ემ-სი* | 20%-იანი წილი - დღემდე.<br>დირექტორი - თანამდებობა დატოვა 2012 წლის 31 ოქტომბერს |
